წლიური ანგარიში

2021 წელი

გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი, ფაქტი“

Email: info@ifact.ge
Website: www.ifact.ge

Tel: +995555289039
თ. ჭოველიძის 4ა, თბილისი

სარჩევი

შესავალი 3

2021 წლის მთავარი მოვლენები 4

გამჭვირვალობა და დემოკრატიული განვითარება 5

გარემოს დაცვა 6

კულტურული მემკვიდრეობა 7

პრო-რუსული ჯგუფებისა და დეზინფორმაცია/პროპაგანდის კვლევა 8

არჩევნები 9

"აი, ფაქტის“ გეგმები 2022 წელს 10

ფინანსური ანგარიში 11

ბოლო სიტყვა 13

მოგესალმებით!

დიდი მადლობა, რომ გასულ წელს მხარს გვიჭერდით და გვგულშემატკივრობდით იმ საქმეში, რომელსაც გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი, ფაქტი“ 2016 წლიდან თავდადებით, სიყვარულითა და კეთილსინდისიერებით აკეთებს.

2021 წელი მნიშვნელოვანი გამოწვევების წელი იყო ჩვენი გუნდისთვის და ამ ყველაფერს თავი ღირსეულად გავართვით. ეს წელიც ვემსახურებოდით ჩვენს მთავარ მისიას, რომელიც ინფორმირებული საზოგადოების შექმნას ისახავს მიზნად. მთელი წელი ჩვენი გუნდი ჟურნალისტური მაღალი სტანდარტისა და ეთიკის დაცვით ამზადებდა მულტიმედიურ და ვიდეო გამოძიებებს, სტატიებსა და სხვა სახის ვიზუალურ მასალებს. ამ გზით საზოგადოებას ვაწვდიდით ინფორმაციას მათ გარშემო მიმდინარე დაფარული მოვლენების შესახებ.

გასულ წელს შევძელით „აი, ფაქტის“ კიდევ ერთი მისიის განხორციელება: „ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის“ მიერ მხარდაჭერილი ერთწლიანი სასწავლო კურსის ფარგლებში საგამოძიებო ჟურნალისტიკა შევასწავლეთ 10 ადამიანს. ეს ჩვენთვის დიდი ამბავია, რადგან საგამოძიებო ჟურნალისტიკის ხარისხის გაუმჯობესება გვსურს.

იმედი გვაქვს, რომ 2022 იქნება სასიკეთო ცვლილებებისა და დაძლეული გამოწვევების წელი. თქვენი თანადგომის იმედით ჩვენ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და დემოკრატიული, ინფორმირებული და კრიტიკული საზოგადოების მშენებლობისთვის ბრძოლას გავაგრძელებთ!

კეთილი სურვილებით,
ნინო ბაქრაძე
„აი, ფაქტის“ დამფუძნებელი და რედაქტორი

2021 წლის მთავარი მოვლენები

ამ ანგარიშის წერა დავიწყეთ ქუთაისში, სადაც 2021 წელს ჩვენმა მუშაობამ დაგვიბრუნა იმედი, რომ ხარისხიან და სანდო ჟურნალისტიკას ცვლილებების გამოწვევა კვლავ შეუძლია. აი, ერთი მაგალითი, მცირე, მაგრამ ჩვენთვის ბევრისმთქმელი: ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მდებარე კოლხური შადრევანი წლებია არ გაახლებულა, ქანდაკებები თეთრი ნადებით იყო დაფარული და ზედაპირის მოპირკეთებასაც გაახლება სჭირდებოდა. ამაზე ვიდეო 2021 წლის შემოდგომაზე მოვამზადეთ. მერიამაც სამუშაოები წლის ბოლოს დაიწყო. ახლა ეს ბრინჯაოს, ანტიკური ქანდაკებები მწვანე ნაჭრით შეუფუთავს ქალაქის მერიას და გაწმენდას, გალამაზებას უპირებენ.

ჯამში, 2021 წელი მნიშვნელოვანი ამბებით დავიმახსოვრეთ. „აი, ფაქტისთვის“ ბევრი წარმატება მოიტანა გასულმა წელმა. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში გიყვებოდით გელათის რეაბილიტაციის ხარვეზებზე, გამოვაქვეყნეთ ნამახვანჰესის შესახებ მთავრობასა და ინვესტორს შორის გაფორმებული და საიდუმლოდ შენახული ხელშეკრულება, მოგიყევით ადგილობრივი არჩევნების ცდომილებებსა და ხარვეზებზე, იმერეთის ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში არსებული ნეპოტიზმის, კორუფციისა და კანონის სხვა დარღვევების ათობით შემთხვევაზე, შუქრუთსა და ტყიბულში დატრიალებული ტრაგედიების გამომწვევ მიზეზებზე და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ადამიანების გასაჭირზე.

78 სტატია	57 ვიდეო	220 ინფოგრაფიკა

2021 წელს შევძელით სოციალური მედიის სტრატეგიის შექმნა და ფეისბუქის გვერდის გააქტიურება. წლის ბოლოს „აი, ფაქტის“ მასალები ფეისბუქის ნახევარ მილიონამდე მომხმარებელს აღწევდა და ჩართულობაც თვიურად 100,000 მომხმარებელს აჭარბებდა.

მნიშვნელოვანი წელი იყო იმერეთში „აი, ფაქტის“ გააქტიურების თვალსაზრისითაც, ჩავატარეთ ათეულობით შეხვედრა ადგილობრივი მთავრობისა და მოსახლეობის მონაწილეობით, რაც ხელს უწყობს რეგიონში გამჭვირვალობის ამაღლებას, ინფორმაციული საზოგადოების შექმნასა და დემოკრატიული პროცესის განვითარებას.

2022 წელს ვგეგმავთ ორგანიზაციული განვითარების კუთხით გადავდგათ ნაბიჯი წინ და ფანდრაიზინგის ახალი სტრატეგიის მიხედვით დავიწყოთ საქმიანობა, რაც საშუალებას მოგვცემს, საზოგადოებას ვუამბოთ კიდევ უფრო მეტი დამალული და მნიშვნელოვანი ისტორია.

გამჭვირვალობა და დემოკრატიული განვითარება

„აი, ფაქტის“ საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სახელმწიფო ინსტიტუტების გამჭვირვალობის კვლევა და ამ გზით დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობაა. 2021 წელს ჩვენი ჟურნალისტები ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობდნენ. გამოვაქვეყნეთ 50-ზე მეტი ამბავი სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გაუმჭვირვალედ ჩატარებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, ნეპოტისტურ გარიგებებსა და კორუფციული ელემენტების შემცველ ამბებზე. მაგალითად, ვიპოვეთ, რომ ხარაგაულის მერია მერის ძმას პირდაპირ, კონკურსის გარეშე უფორმებდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებს ავტომობილების მოვლა-შეკეთების მიზნით. მასალის გამოქვეყნების შემდეგ მერიამ დაიწყო მომსახურების კონკურსის წესით შესყიდვა და ხელშეკრულება გაუფორმეს სხვა პრეტენდენტს.

ჟურნალისტური საქმიანობის გარდა, რომელიც მოიცავს სიღრმისეულ კვლევას, ინტერვიუების ჩაწერასა და მასალის გაამოქვეყნებას, „აი, ფაქტის“ გუნდი იმერეთში ხვდებოდა ადგილობრივ მოსახლეობას სოფლებში და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებს. ხელს ვუწყობდით მოსახლეობასა და მთავრობას აქტიურ კომუნიკაციაში და პრობლემების განსახილველად

შეხვედრა სოფელ ზედა ვანში

დისკუსიების ჩატარებაში. იმერეთის სოფლებში 2021 წელს, ჯამში, 50-მდე ასეთი შეხვედრა ჩავატარეთ. მაგალითად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოდში ასეთი შეხვედრა მოვაწყვეთ და მოსახლეობისა და ადგილობრივი მთავრობის წევრებთან ერთად განვიხილეთ წყლის დაზიანებული სისტემის საკითხი. შეხვედრის შემდეგ მთავრობამ დაიწყო წყლის სისტემის მოწესრიგებისთვის გამიზნული სამუშაოები. მოვამზადეთ ვიდეო მასალა ქუთაისში, მდინარე ოღასკურაზე ხიდის გაკეთების საჭიროებაზე. მასალის შემდეგ მერიის წარმომადგენლები შეხვდნენ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთ და ხიდიც გააკეთეს. ასეთი მაგალითები კიდევ ბევრი გვაქვს იმერეთში ჩვენი საქმიანობის 1.5 წლის თავზე.

გარემოს დაცვა

გარემოს დაცვის მიმართულებით „აი, ფაქტი“ დაფუძნების დღიდან მუშაობს. თუმცა, 2021 წელი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული იყო, რადგან აქტიურად განიხილებოდა ნამახვანჰესის ამბავი. „აი, ფაქტმა“ ეკონომიკის სამინისტროსთან ხანგრძლივი კომუნიკაციის შედეგად მოიპოვა სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მანამდე არავისთვის იყო ცნობილი.

ხელშეკრულებამ გაზარდა ეჭვები პროექტის სარგებლიანობის შესახებ და მის მოწინააღმდეგეებს არგუმენტებიც მისცა საფუძვლიანი კრიტიკისთვის. ხელშეკრულების გასაჯაროებას მოჰყვა ხალხმრავალი პროტესტი და მთავრობის აღიარება, რომ ეს დოკუმენტი გადასახედი და შესაცვლელია. ამის შემდეგ „აი, ფაქტმა“ კიდევ ოთხი სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც მიმოიხილავდა ნამახვანჰესის საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზებს და მიწის კომპანიისთვის გადაცემის დეტალებს.

ამ თემით ჩვენმა დაინტერესებამ გამოიწვია ის, რომ „სოციალური სამართლიანობის ცენტრმა“ და „აი, ფაქტმა“ „ევროპის ფონდისგან“ მიიღეს დაფინანსება, რომლის ფარგლებში ვსწავლობთ გარემოსდაცვითი და საზედამხედველო უწყებების საქმიანობას, კავშირებსა და პროექტების შესახებ დეტალურ მონაცემებს.



კულტურული მემკვიდრეობა

2021 წლის დასაწყისიდან „აი, ფაქტი“ აქტიურად აშუქებდა გელათის თავს გადამხდარ ამბებს. მარტამდე გამოვაქვეყნეთ ხუთი ნაწილისგან შემდგარი გამოძიება, რომელიც ავლენდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში არსებული ნეპოტიზმის, გულგრილობისა და გაუმჭვირვალობის მთელ რიგ შემთხვევებს, რომელმაც გავლენა იქონია გელათის რეაბილიტაციის პროცესზეც.

ჩვენი გამოძიებები ქართული მედიისთვის ინფორმაციის კარგი წყარო იყო, ყველა წამყვანი ტელევიზია აშუქებდა ამ თემას და იყენებდნენ „აი, ფაქტის“ მიგნებებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს მაშინდელმა ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ანთიძემ სწორედ გელათის წარუმატებელი რეაბილიტაციის მედიაში აქტიური გაშუქების გამო დატოვა თანამდებობა.

სამწუხაროდ, გელათი კვლავ დიდი გამოწვევის წინაშეა და მისი „თავგადასავალი“ გრძელდება. ჩვენც ფეხდაფეხ მივყვებით ამ ამბის განვითარებას და ვაშუქებთ ყველა ნაბიჯს, რომელსაც ამ საქმის გარშემო კულტურის სამინისტრო და სააგენტო დგამს. ნოემბერსა და დეკემბერში კვლავ გამოვაქვეყნეთ მასალა და საჯაროდ ხელმისაწვდომი გავხადეთ გელათთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც კვლავ მიანიშნებს კორუფციული გარიგებისა და საეჭვო გარემოებების შესახებ.

19/03/2021

"შინაურობაში" გადახურული გელათი

By "აი, ფაქტი"

გელათის თავზე ლურჯი ტენტის...

READ MORE

0 0 Share

პრო-რუსული ჯგუფებისა და დეზინფორმაცია/პროპაგანდის კვლევა

2021 წელი პროპაგანდისა და რუსული გავლენის აგენტების გააქტიურების წელი იყო. ამ აქტივობებმა ქართულ სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო ივლისის თვე, როდესაც თბილისის ცენტრში ათეულობით კოლეგა გახდა პრო-რუსული ჯგუფის ფიზიკური, სიტყვიერი და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. ტ/კ „პირველის“ ოპერატორისთვის, ლექსო ლაშქარავასთვის ეს აღმოჩნდა ბოლო საპროტესტო აქცია, რომელსაც აშუქებდა. ის 5 ივლისს სასიკვდილოდ სცემეს და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. პოლიცია იყო უმოქმედო და ვერ დაიცვა ჟურნალისტების ფიზიკური უსაფრთხოება. აქციის ორგანიზატორები, რომლებიც ღიად მოუწოდებდნენ თავიანთ მომხრეებს ძალადობისკენ, დღემდე არავის დაუსჯია. პირიქით, რამდენიმე თვეში მათ პოლიტიკური პარტიის დაფუძნების უფლებაც კი მისცეს.

რუსული პროპაგანდა

რუსეთის “ალტერნატივა საქართველოსთვის”

January 23rd, 2021 7259

მას შემდეგ, რაც ლევან ვასაძემ ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სივრცეში მისი პერსონის...

„აი, ფაქტმა“ გამოაქვეყნა აქციის ორგანიზატორებისა და აქტიური წევრების სია. ჩვენმა ჟურნალისტებმა შეასრულეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო უწყებების საქმე და გავრცელებული ვიდეო და ფოტო მასალიდან შეძლეს ადამიანების იდენტიფიცირება. ასევე გამოვაქვეყნეთ იმ სასულიერო პირების სია, რომლებიც აქტიურად უჭერდა პრო-რუსულ დაჯგუფება „ალტ-ინფოს“ მხარს და ეხმარებოდა მათ აქციისთვის ხალხის მობილიზებაში.

გარდა ივლისის აქციასთან დაკავშირებული ამბებისა, „აი, ფაქტი“ მთელი წელი იკვლევდა პრიმაკოვის ფონდის, ლევან ვასაძისა და კონსტანტინე მორგოშიას კავშირებს, ბიზნესებსა და აქტივობებს. სწორედ ეს უკანასკნელნი უდგანან სათავეში საქართველოში ყველაზე აქტიურ პრო-რუსულ ძალას. მათ შესახებ „აი, ფაქტის“ მიერ გამოქვეყნებული მასალები შეგიძლიათ ამ ბმულზე იხილოთ.

არჩევნები

2021 წელი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმ ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესის გამო ჰქონდა, რომელიც ევროკავშირის წარმომადგენლების შუამავლობით მიმდინარეობდა ოპოზიციურ პარტიებსა და მმართველ პოლიტიკურ ძალას შორის. თანაც, გასულ წელს ცესკომ პირველად ჩაიწერა ხმების დათვლის პროცესი და ვიდეოფაილები საჯარო გახადა.

პირველი ტურის შემდეგ „აი, ფაქტმა“ გადათვალა საკრებულოს პროპორციული არჩევნების საუბნო ოქმები და იპოვა, რომ მათი 26 პროცენტი დისბალანსიანი იყო. რამდენიმე დღის განმავლობაში აქტიურად ვაზიარებდით საუბნო ოქმებში ნაპოვნ დარღვევებს და გამოვაქვეყნეთ ოცამდე პოსტი ამ თემაზე. ქართული მედია აქტიურად აშუქებდა ჩვენს მიგნებებს და მოიხსენიებდნენ „აი, ფაქტის“ კვლევას.

მას შემდეგ რაც ცესკომ გამოაქვეყნა ხმების დათვლის პროცესის ვიდეოჩანაწერები, „აი, ფაქტმა“ პროექტ „კავშირებთან“ ერთად, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ დაფინანსებით დაიწყო მასალის შესწავლა. ჯამში ვუყურეთ 50-ზე მეტი უბნის ჩანაწერს. თითოეული მათგანი გრძელდებოდა 5-10 საათი. გამოვავლინეთ ხმის დათვლის პროცესში არსებული სისტემური პრობლემები, ვიდეოგადაღების ხარვეზები და ამის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა როგორც ჩვენი პლატფორმებიდან, ისე სხვა მედიასაშუალებების ეთერებით.

ვიდეომასალების შესწავლის შემდეგ გამოქვეყნებულ კვლევაზე დაყრდნობით არასამთავრობო სექტორმა ცესკოს ხელმძღვანელობას შესთავაზა რეკომენდაციები, თუ როგორ გამოესწორებინათ ხარვეზები მეორე ტურისთვის. ცესკომ გაითვალისწინა რეკომენდაციების ნაწილი და შედეგად მივიღეთ ის, რომ მეორე ტურზე ხმების დათვლის პროცესის ვიდეო ჩანაწერები იყო უფრო კარგი ხარისხის და უზრუნველყოფდა პროცესის გამჭვირვალობას.

„აი, ფაქტის“ გეგმები 2022 წელს

ამ წელს ვგეგმავთ განვავრცოთ ჩვენი საქმიანობა და ჩვენი მედიაპროდუქტი კიდევ უფრო დიდ აუდიტორიამდე მივიტანოთ. გამოვაქვეყნოთ მნიშვნელოვანი ამბები ქვეყანაში ძალაუფლების მქონე ინსტიტუტების, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვისა და განაწილების, კანონდარღვევებისა და კორუფციის ნიშნების შემცველი საქმეების შესახებ.

გარდა ჟურნალისტური საქმიანობისა, 2022 წელსაც გვექნება შესაძლებლობა, ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ ახალგაზრდა ჟურნალისტებს, რომელთათვისაც საგამოძიებო მიმართულება საინტერესოა. „ფრიდრიხ ნაუმანის ფონდისა“ და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით „აი, ფაქტი“ წელსაც გეგმავს ერთწლიანი და პრაქტიკაზე დაფუძნებული სასწავლო კურსის წარმართვას.

კურსის ფარგლებში ტრენინგის მონაწილეები გაივლიან თეორიულ მოდულებს კვლევაში, ინტერვიუს წარმართვის ტექნიკაში, წერასა და ვიდეოპროდუქტის მომზადებაში. შემდეგ კი ამ ცოდნას გამოიყენებენ პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად. პრაქტიკული მოდულები მოიცავს საველე სამუშაოებს საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც მედია ან საერთოდ არ არსებობს, ან სუსტია. საველე სამუშაოების დროს მომზადებული მასალები გამოქვეყნდება „აი, ფაქტის“ ვებ-გვერდზე.

წელს ვგეგმავთ იმასაც, რომ „აი, ფაქტის“ ორგანიზაციული სტრუქტურა დაიხვეწოს, განვითარდეს და მეტად დაგვეხმაროს ეფექტიან მუშაობაში. წელს, თუკი ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას მოგვცემს, გვინდა, რომ ჩვენი საქმიანობა განვავრცოთ საქართველოს რეგიონებზე და მეტი იქაური ამბავი მოგიყვეთ. ჩვენი განსაკუთრებული სამიზნე კვლავ იქნება იმერეთის რეგიონი და კვლავაც ვიპოვით დიდ, მნიშვნელოვან ამბებს, დავადადსტურებთ მათ და მოგაწვდით გადამოწმებულ ინფორმაციას.

დარწმუნებული ვართ, რომ ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს წელი მარტივი არ იქნება. ჩვენი პროფესიული მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად კვლავაც დაგვჭირდება ბევრი შრომა, მყარი ნერვები და დიდი მოთმინების უნარი. თუმცა, გვჯერა ჩვენი მხარდამჭერების ერთგულების და მათი თანადგომის იმედად ვუსწორებთ თვალს 2022 წლის გამოწვევებს!

ფინანსური ანგარიში

დაფინანსების წყაროები და პროექტები 2021				
დონორი	**პროექტი**	**პერიოდი**	**სტატუსი**	**პროექტის სრული ოდენობა (აშშ დოლარი)**
National Endowment for Democracy	Researching Authoritarian Influence and Illiberal Movements	2020-2022	მიმდინარე	100,121.00
Open Society Georgia Foundation	Journalistic Investigation of Pandemic-related Violations	2021	დასრულებული	14,270.00
Open Society Georgia Foundation	Analysis of 2021 Election Video Recordings	2021, ოქტომბერი	დასრულებული	7,000.00
Open Society Georgia Foundation	A Study of Groups with Anti-liberal Attitudes	2020-2021	დასრულებული	36,000.00
Journalism Development Network	COVID-19 Pandemic-driven Investigations	2021-2022	მიმდინარე	15,000.00
Embassy of the Netherlands	Support Democratic Values and Freedom of Information in Imereti Region	2020-2022	მიმდინარე	57,600.00
Independent Journalists Team	ONLINE JOURNALISM, IN-DEPTH: A Transnational Media Network and Three Topic Platforms for Resilient Independent Online Journalism in the Countries of the EAP	2021	დასრულებული	8,489.32
				238,480.32





კომბინირებული ფინანსური ანგარიში 2021 წელი (აშშ. დოლარი)	
დახმარება და შემოსავალი	
გრანტები	105,542.94
შემოწირულობები	1,147.88
შემოსავალი მომსახურებიდან	2,244.60
სულ დახმარება და შემოსავალი	**108,935.42**
ხარჯები	
ხელფასები (ხელზე ასაღები) - პროგრამის განვითარების აქტივობები	72,614.91
მომსახურების ხელშეკრულებები (ხელზე ასაღები) - დამხმარე მომსახურებები, პროგრამის განვითარების აქტივობები, ფაინდრაიზინგი	38,529.57
გადასახადები და შეღავათები (საშემოსავლო გადასახადი, საპენსიო შენატანი)	33,406.56
ოფისის შენახვის ხარჯები (ქირა, ინტერნეტი, საკანცელარიო)	5,838.95
ჰოსტინგი, რეკლამა, ვებ-პროგრამები (facebook, google, ა.შ.)	3,277.63
გაზეთების ბეჭდვა და გავრცელება	2,863.89
დოკუმენტაციის გამოთხოვა	278.59
საბანკო ხარჯი	338.2
სულ ხარჯები	**157,148.30**
ნამეტი (დეფიციტი)	**(48,212.88)**
ბალანსი, წლის დასაწყისში*	**66,457.90**
ბალანსი, წლის ბოლოს	**18,245.02**
*31.12.2020-ს ბალანსი 66 455.53 აშშ დოლარი 2021 წლის აქტივობებითვის: 64 639.90 აშშ დოლარი გრანტებიდან, 1 815.63 აშშ დოლარი შემოწირულობებიდან.	

ბოლო სიტყვა

გვიხარია, თუ ბოლო გვერდამდე წაიკითხეთ ეს ანგარიში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თქვენთვის მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ.

ამ საქმის გასაგრძელებლად 2022 წელს, გვჯერა, რომ ბევრი შანსი გვექნება. ჩვენ ყველა მათგანის გამოყენებას ვაპირებთ და თავს არ დავზოგავთ თქვენამდე დამალული, მნიშვნელოვანი და პრობლემური ამბების მოსატანად.

თქვენგან კი გვჭირდება ყურადღება, რაც გამოიხატება ჩვენი მასალებით დაინტერესებაში, მათ გაზიარებაში, სხვა ადამიანებისთვის „აი, ფაქტის“ გაცნობაში, ჩვენთვის ინფორმაციის მოწოდებასა თუ ფინანსურ, მორალურ და ხანაც ფიზიკურ მხარდაჭერაში.

იმედი გვაქვს, რომ უკეთესი წელი და უკეთესი ამბები ელის წინ ჩვენ ქვეყანას და საზოგადოებას.

გისურვებთ წარმატებას!